პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საავტომობილო გზის აღნიშნული მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა გაზრდის სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობას, უზრუნველყოფილი იქნება ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობა და უსაფრთხო მოძრაობა.

**თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის შორაპანი არგვეთას მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (JICA)**

პროექტის პროგრამული კოდი	25 02 03 12
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 02 - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - ვერაზის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დეტალური პროექტის მომზადება და მიწების გამოსყიდვის პროცედურები.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საავტომობილო გზის აღნიშნული მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა გაზრდის სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობას, უზრუნველყოფილი იქნება ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობა და უსაფრთხო მოძრაობა.

**მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (ADB)**

პროექტის პროგრამული კოდი	25 03 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 03 - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	„მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამის“ მიზანია საქართველოში ურბანული სატრანსპორტო სისტემის მუშაობის სრულყოფა საგზაო ქსელის ინფრასტრუქტურის, საგზაო მოძრაობის მართვისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის

	თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის გზით.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	<p>გაყვანილი და რეაბილიტირებულია 2.6 კმ სიგრძის ხაზი დელისის სადგურიდან უნივერსიტეტის სადგურამდე (გვირაბების, მეტროს ზედა და ქვედა სადგურების, გადასასვლელების, სასიგნალო და სხვა მოწყობილობებით აღჭურვის ჩათვლით);</p> <p>ამენებული და განახლებულია თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის 17.4 კმ-იანი მონაკვეთი და უზურნველყოფილია ოთხზოლიანი მოძრაობა;</p> <p>ანაკლია-ბათუმის საკურორტო ზოლის გასწვრივ ნაწილობრივ აღდგენილია ეროზირებული მიწის მონაკვეთები.</p> <p>თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მოდერნიზაცია;</p> <p>თბილისის მეტროს მე-2 ხაზის გაგრძელება/განახლება და უნივერსიტეტის სადგურის მშენებლობა;</p> <p>ანაკლიის ნაპირდაცვა;</p> <p>ქ. ბათუმის ნაპირდაცვა.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>გაუმჯობესებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, სისტემა და სამგზავრო პირობები;</p> <p>ანაკლიისა და ქ. ბათუმის მიმდებარე სანაპირო ზოლის გასწვრივ პლაჟების გაუმჯობესებული მდგომარეობა, შემდგომი ეროზიისაგან დაცული სანაპირო და ინფრასტრუქტურული ობიექტები, უკვე ეროზირებული მიწის მონაკვეთების ნაწილობრივი აღდგენა, ტურისტული პოტენციალის ამღობვა.</p>

**რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) (WB)**

პროექტის პროგრამული კოდი	25 03 03
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 03 - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>კახეთის რეგიონის ტურიზმთან და კულტურული მემკვიდრეობის ცენტრებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული მომსახურების და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება.</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ძველი შუამთა, ახალი შუამთა, იყალთო) და იყალთოს ეკლესიის საკონსერვაციო სამუშაოები - ფაზა 2;</p> <p>- ქ. თელავში ბატონის ციხის რეაბილიტაცია (მუზეუმი და ტერიტორია) - ფაზა 2;</p> <p>- ქ. თელავში ბატონის ციხის (სასახლე) რესტავრაცია - ფაზა 2;</p> <p>- ქვევრის სკოლა-სახელოსნოს მშენებლობა იყალთოში;</p> <p>- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ნინოწმინდა და დავით-გარეჯი) - ფაზა 2;</p>

	<ul style="list-style-type: none"> <li>- საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია სოფ. დართლოში - ფაზა 2;</li> <li>- შენობების რეაბილიტაცია და ტურისტული ზონის მოწყობა სოფ. დართლოში - ფაზა 3;</li> <li>- ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფელ ომალოში წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების მოწყობა;</li> <li>- გურჯანიის მუნიციპალიტეტში, ყოვლადწმინდის მონასტერთან წყალმომარაგების სისტემის მოწყობა.</li> </ul>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	<p>გაზრდილი ინსტიტუციონალური უნარჩვევები;</p> <p>განვითარებული ტურისტული და კულტურული მემკვიდრეობის ზონები;</p> <p>გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და მომსახურება.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და მომსახურება;</p> <p>გაზრდილი ინსტიტუციონალური უნარჩვევები;</p> <p>განვითარებული ტურისტული და კულტურული მემკვიდრეობის ზონები.</p>

**რეგიონალური განვითარების პროექტი II (იმერეთი) (WB)**

პროექტის პროგრამული კოდი	25 03 04
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 03 - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ინფრასტრუქტურული მომსახურების და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაზრდა, რათა ხელი შეუწყოს იმერეთის რეგიონის ადგილობრივ ეკონომიკაში მზარდი ტურიზმის სარგებლიანობას.</p> <p>ქ. ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაცია - ფაზა 3;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ქ. ვანის არქეოლოგიურ მუზეუმამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;</li> <li>- ქ. ვანის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიის კეთილმოწყობა;</li> <li>- კულტურული მემკვიდრეობის ზონების კეთილმოწყობა (გელათი, მოწამეთას მონასტერი);</li> <li>- კულტურული მემკვიდრეობის ზონების კეთილმოწყობა კაცხის და უბისის მონასტრებთან, ასევე კაცხის მონასტრის და კელიების სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები და სხვა.</li> </ul>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	<p>ტურისტების რაოდენობის ზრდა;</p> <p>ავტომობილების საექსპლუატაციო დანახარჯები;</p> <p>წყალმომარაგებით უზრუნველყოფა</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და მომსახურება;</p> <p>გაზრდილი ინსტიტუციონალური უნარჩვევები;</p>

**რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB)**

პროექტის პროგრამული კოდი	25 03 05
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 03 - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>მცხეთა-მთიანეთში და სამცხე-ჯავახეთში ურბანული, კომუნალური და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, კულტურული მემკვიდრეობის და ისტორიული ძეგლების პოპულარიზაცია და კერძო სექტორის ხელშეწყობა. მოცემული რეგიონების ტურიზმთან და კულტურული მემკვიდრეობის ცენტრებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული მომსახურების და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება.</p> <p>1. სამცხე-ჯავახეთი: საფარას მონასტერთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; ზარზმის მონასტრის კონსერვაცია და ძველ წყაროსთან მისასვლელი ბილიკის რეაბილიტაცია; აბასთუმნის ურბანული განახლება (ისტორიული ხის სახლების რეაბილიტაცია); აბასთუმნის ობსერვატორიის რეაბილიტაცია; ბაკურიანის ცენტრალური ბილიკის მოწყობა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება ბაკურიანის რეკრეაციულ პარკში; ვარძიის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; ბორჯომის ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაცია; სოფ. საროში დარბაზის ტიპის სახლების რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; ხერთვისის ციხე-სიმაგრის კომპლექსის რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; სოფ. გოგაშენთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და უსაფრთხოების ღონისძიებების მოწყობა; უსაფრთხოების ზომების განხორციელება და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ვანის ქვაბებთან.</p> <p>2. მცხეთა-მთიანეთი: დუშეთის ისტორიული ქუჩების ურბანული განახლება; დუშეთის პარკის რეაბილიტაცია; ანანურის ციხესთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; სტეფანწმინდის მუზეუმის რეაბილიტაცია; გერგეთის სოფლის საავტომობილო გზის და გერგეთის ეკლესიასთან მისასვლელი საფეხმავლო</p>

	ბილიკის რეაბილიტაცია; დარიალის მონასტერთან ავტოსადგომის მოწყობა და მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და სხვა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ახლად შექმნილი და უკვე მოქმედი დანიშნულების მართვის ოფისები; წყალმომარაგებით უზრუნველყოფა; სასტუმროების რაოდენობის ზრდა; ტურისტულ ობიექტებზე ვიზიტორების ყოველწლიური ზრდა; განახლებული პარკები და მუზეუმები.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და მომსახურება; გაზრდილი ინსტიტუციონალური უნარ-ჩვევები; განვითარებული ტურისტული და კულტურული მემკვიდრეობის ზონები.

რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II (WB, WB-TF)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 03 06
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 03 - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	მუნიციპალური მომსახურების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დასრულდა რიგი პროექტები: გურჯაანის ქუჩების რეაბილიტაცია, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცოდნისკარი-თელა-პატარაგორი-კაბალი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; ქ. მარტვილში თამარ მეფის ქუჩის და ქვაითის უბნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; ასპინძის N1 და N2 ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია.  ქ. ქუთაისში, ნიკეას ქუჩის რეაბილიტაცია, სოფ. ბაკურციხის კულტურის კლუბის რეაბილიტაცია, ლენტეხის მუნიციპალიტეტში სახიდე გადასასვლელების მოწყობა, დაბა მესტიაში, ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრის რეაბილიტაცია, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია და მოწყობა, ქ. ამბროლაურში წყალარინების ქსელის მოწყობა და სხვა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და მომსახურება; გაზრდილი ინსტიტუციონალური უნარ-ჩვევები.

საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი (EIB)

პროექტის პროგრამული კოდი	25 03 07
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 03 - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს მასშტაბით ურბანულ რეკონსტრუქცია და განვითარება, რომლის სამი ძირითადი კომპონენტია:</p> <p>1) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება - ითვალისწინებს მრავალ სექტორული საინვესტიციო სექტორების დაფინანსებას, საქართველოს სახელმწიფო სექტორში, ძირითადად მაღალი პრიორიტეტის მქონე სექტორების ცალკეულ მუნიციპალიტეტებში. ეს კომპონენტი მიმართულია ადგილობრივი თვითმმართველობის (LSG) დამატებითი საინვესტიციო საჭიროებებისათვის;</p> <p>2) ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება - გულისხმობს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, რომელიც გამოყენებული იქნება ტურიზმის სექტორის მხარდაჭერისთვის, ძირითადად სათხილამურო კურორტების განვითარებისათვის. აღნიშნულს განახორციელებს სახელმწიფო კომპანია - შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ (MRDC);</p> <p>3) დაზიანებული ინფრასტრუქტურის გადაუდებელი რეაბილიტაცია - გულისხმობს დაზიანებული ინფრასტრუქტურის გადაუდებელ რეაბილიტაციას, საქართველოს ძირითადი ინფრასტრუქტურის აღდგენასა და რეკონსტრუქციას, რომელიც განადგურებული იქნა 2015 წლის 13 და 14 ივნისს ქვეყანაში მომხდარი სტიქიით.</p> <p>ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ასკანა-მშვიდობაური-ბახვის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ადიგენის მუნიციპალიტეტში, ზანავი-გომაროს საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, საჩხერის მუნიციპალიტეტში, ჭორვილა-საირხის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. როდინაულის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მუხრანის საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია და სხვა.</p>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეაბილიტირებული საავტომობილო გზები, საჯარო შენობები, ტურისტული ინფრასტრუქტურა, საბავშვო ბაღები, ურბანული ინფრასტრუქტურა, საზოგადოებრივი სივრცეები, კულტურულ/ადმინისტრაციული შენობები და სხვა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეაბილიტირებული, აღდგენილი და მოდერნიზებული ინფრასტრუქტურა; გაუმჯობესებული მუნიციპალური სერვისები.

საქართველოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი (EIB)



პროექტის პროგრამული კოდი	25 03 08
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 03 - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს მასშტაბით მუნიციპალური და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება; ამორტიზირებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეაბილიტირებული საავტომობილო გზები, საჯარო შენობები, ტურისტული ინფრასტრუქტურა, საბავშვო ბაღები, საზოგადოებრივი სივრცეები, კულტურულ/ადმინისტრაციული შენობები და სხვა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეაბილიტირებული, აღდგენილი და მოდერნიზებული ინფრასტრუქტურა.

**ჭიათურის საბაგირო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტი (Government of France)**

პროექტის პროგრამული კოდი	25 03 09
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 03 - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	საბაგირო სადგურის განახლება ქ. ჭიათურაში, რომელიც მოემსახურება ქალაქის 12 000 მაცხოვრებელს. ხელშეკრულება ითვალისწინებს 13 200 000 ევროს გამოყოფას გადასახადების გარეშე, რომელიც მოემსახურება ქ. ჭიათურაში საბაგირო სადგურის რეაბილიტაციას და ოთხი მიმართულებით მოსახლეობის გადაადგილებისათვის მაღალი სტანდარტის უსაფრთხო საბაგიროების მოწყობას.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მომზადებული ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების დოკუმენტი.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქ. ჭიათურაში ახალი, უსაფრთხო და კომფორტული საბაგიროების მოწყობა, რომელიც მოემსახურება ქალაქის 12 000 მაცხოვრებელს.

**ქობულეთის წყალარინების პროექტი (EBRD, ORET)**

პროექტის პროგრამული კოდი	25 04 01
--------------------------	----------

პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 04 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	ქ. ქობულეთში კანალიზაციის გამწმენდი ახალი ნაგებობის მშენებლობა.  პროექტი დაფინანსებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ჰოლანდიის მთავრობის მიერ, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თანამონაწილეობით. ჰოლანდიის მთავრობა წარმოდგენილია ORET-ით. გრანტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ევალება Orange Water Solutions (OWS)-ს, რომელიც ვალდებულია წარმოადგინოს გამწმენდი ნაგებობის კონსტრუქციული ნაწილის დიზაინი, საჭირო აღჭურვილობა და გააკონტროლოს დანადგარების მონტაჟი. პროექტის ფარგლებში, ასევე დაქირავებული იყო ავსტრიული საკონსულტაციო კომპანია „ჰიდრო ინჟინირი“, რომლის პასუხისმგებლობაში შედიოდა პროექტის მართვისა და განხორციელების ხელშეწყობა. საკონსულტაციო კომპანიის კონტრაქტის ვადა დასრულდა 2012 წლის 15 აგვისტოს.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქ. ქობულეთი უზრუნველყოფილია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქ. ქობულეთის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობით უზრუნველყოფა, ჩამდინარე წყლების ხარისხი, მოსახლეობის უკეთესი სოციალური პირობები.

**წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II (EIB, EU)**

პროექტის პროგრამული კოდი	25 04 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 04 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ქალაქებში წყალმომარაგების სისტემების განახლება და შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. პროექტი სამშენებლო სამუშაოებთან ერთად, ასევე ითვალისწინებს საქონლის შეძენას გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისთვის. პროექტების განხორციელება დაგეგმილია: სამეგრელო-ზემო სვანეთის და გურიის რეგიონებში: 1. ოზურგეთი; 2. სენაკი; 3. ხობი; 4. აბაშა იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონებში:

	<p>1. ტყიბული; 2. ზესტაფონი; 3. ჭიათურა კახეთის რეგიონში: 1. თელავი-კურდღელაური; 2. ახმეტა; 3 სიღნაღი; 4. წნორი; 4. საგარეჯო; 6. ლაგოდეხი შიდა ქართლის რეგიონში: 1. ქარელი; 2. დუშეთი ქვემო ქართლის რეგიონში: 1. ბოლნისი; 2. წალკა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: 1. ასპინძა; 2. ახალციხე; 3. წაღვერი; 4. ლიკანი</p>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოწყობილი წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები; გაუმჯობესებულია წყლის მიწოდება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაუმჯობესებული სასმელი წყლის მიწოდების გრაფიკი; ოპერირების ხარჯების შემცირება; წყალმომარაგების და წყალარინების მდგრადი ფუნქციონირება.

**საკანალიზაციო სისტემების მდგრადი მართვის პროექტი (SIDA)**

პროექტის პროგრამული კოდი	25 04 03
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 04 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	ჩამდინარე წყლების მდგრადი განკარგვის ხელშეწყობა საქართველოში და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების ექსპერიმენტულად განხორციელება. ქ. წყალტუბოს და ქ. თელავის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაუმჯობესებული წყალანირების ინფრასტრუქტურა ქ. წყალტუბოსა და ქ. თელავში; ჩამდინარე წყლების გაწმენდის მაღალი ხარისხი.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	1. ქ. წყალტუბოს და ქ. თელავის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა; 2. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და მომსახურება; 3. ტრეინინგების და სემინარების ჩატარება ჩამდინარე წყლების მართვასთან დაკავშირებით.

**ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB)**

პროექტის პროგრამული კოდი	25 04 04
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 04 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>სასმელი წყლის და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია ქუთაისში (გარდა წყალარინების სისტემის მშენებლობისა), ფოთში, ზუგდიდში, ანაკლიაში, ურეკში, მესტიაში, გუდაურში, ჭიათურასა (გარდა წყალარინების ქსელების მშენებლობისა) და მარნეულში.</p> <p>ქუთაისი - სასმელი წყლის მაგისტრალური მილსადენების, რეზერვუარების, სატუმბი სადგურების და გამანაწილებელი ქსელების მშენებლობა;</p> <p>ფოთი - რეზერვუარების, მაგისტრალური მილსადენების, წყალარინების ქსელების, კოლექტორების, სატუმბი სადგურების, გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;</p> <p>ზუგდიდი - სათავე ნაგებობების, რეზერვუარების, მაგისტრალური მილსადენების, გამანაწილებელი ქსელების, წყალარინების ქსელების, კოლექტორების, სატუმბი სადგურების, გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;</p> <p>ანაკლია - სათავე ნაგებობების, რეზერვუარების, მაგისტრალური მილსადენების, გამანაწილებელი ქსელების, წყალარინების ქსელების, კოლექტორების, სატუმბი სადგურების, გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;</p> <p>ურეკი - სათავე ნაგებობების, რეზერვუარების, მაგისტრალური მილსადენების, გამანაწილებელი ქსელების, წყალარინების ქსელების, კოლექტორების, სატუმბი სადგურების, გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა;</p> <p>მესტია - სათავე ნაგებობების, რეზერვუარების, მაგისტრალური მილსადენების, გამანაწილებელი ქსელების, წყალარინების ქსელების, კოლექტორების, სატუმბი სადგურების, გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;</p> <p>მარნეული - სათავე ნაგებობების, რეზერვუარების, მაგისტრალური მილსადენების, გამანაწილებელი ქსელების, წყალარინების ქსელების, კოლექტორების, სატუმბი სადგურების, გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.</p>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სასმელი წყლის და წყალარინების სისტემების სრულყოფილი მუშაობა; გაუმჯობესებულია სასმელი წყლის გრაფიკი და უზრუნველყოფილია წყალარინების სისტემებით მომსახურება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფილი იქნებიან სასმელი წყლით და წყალარინების სისტემების სრულყოფილი მუშაობით.

რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებები

პროექტის პროგრამული კოდი	25 04 06
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 04 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>სხვადასხვა მუნიციპალიტეტების უზრუნველყოფა სასმელი წყლით და წყალარინების სისტემებით. ასევე, საქართველოს მთავრობის განკარგულებით დავალებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.</p> <p>სოფელ გუდაურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის (გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაცია) სამუშაოების უზრუნველსაყოფად; გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების, კერძოდ: გორის მუნიციპალიტეტის 8 და კასპის მუნიციპალიტეტის 2 სოფლის წყალმომარაგების უზრუნველყოფისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების (ჭაბურღილები, სადაწნეო კოშკები და საქლორატორები) უზრუნველსაყოფად;</p> <p>საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, უდაბნოს ადმინისტრაციული ერთეულის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, სოფელ თოხლიაურში მდებარე სათავე ნაგებობიდან (არტეზიული ჭაბურღილები) მიმავალი წყალსადენი სისტემის რეაბილიტაციისათვის;</p> <p>ქ. ონი - „ქვედრულას“ წყალგამწმენდ ნაგებობაში კოაგულირების სისტემის მოწყობა, რომელიც არსებულ გაწმენდ ნაგებობაში არ არის გათვალისწინებული, რის საფუძველზეც ვერ ხერხდება ამღვრეული წყლის გაწმენდა. აღნიშნული სისტემის მოწყობის შემდეგ ქ. ონი უზრუნველყოფილი იქნება სუფთა წყლით. „ჟიჟორეთის“ სათავე ნაგებობაზე დრენაჟის ტიპის წყალმიმღების, საქლორატორის და 2.3 კმ-იანი მაგისტრალური მილის მოწყობა.</p>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაუმჯობესდება სასმელი წყლის ხარისხი და მიწოდების გრაფიკი; წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში გაუმჯობესებული წყალმომარაგება და წყალარინება.

**ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი (EU, KfW)**

პროექტის პროგრამული კოდი	25 05 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 05 - მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	იმერეთში ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობას, რომელიც მოემსახურება იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონებს. ასევე, ქუთაისის მოქმედი ძველი ნაგავსაყრელის დახურვას, ნარჩენების მოგროვების, ქუჩების დასუფთავების სისტემის გაფართოებასა და გაუმჯობესებას, ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მშენებლობას და გადამუშავებას დაქვემდებარებული ნარჩენებისათვის სორტირების საწარმოს მოწყობას.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განმახორციელებელი და დამხმარე ღონისძიებების კონსულტანტების მიერ პროექტის კონცეპტუალური დიზაინის შემუშავება და კომპანიის ორგანიზაციული და ინსტიტუციური განვითარების კონცეფციის განხორციელება.
დეტალური ინფორმაცია	საქართველო-გერმანიის თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობს "ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი", რომლის განხორციელებაც გათვალისწინებულია 2014-2018 წლებში. 2014 წელს შეიქმნა პროექტის განმახორციელებელი (ERM GmbH) და დამხმარე ღონისძიებების (PEM) კონსულტანტები. 2016 წელს დასრულდება პროექტის დეტალური დიზაინი და გამოცხადდება ტენდერები სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით. სამშენებლო სამუშაოების დასრულება გათვალისწინებულია 2018 წლის ბოლოს. 2018 წლის განმავლობაში განხორციელდება ძველი ნაგავსაყრელის დახურვა და ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მონიტორინგი.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ახალი სანიტარული ევროსტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელის აშენება და არსებულის დახურვა.

**ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD, SIDA)**

პროექტის პროგრამული კოდი	25 05 03
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 05 - მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვემო ქართლის ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა, რომელიც მოემსახურება ქვემო ქართლის 5 მუნიციპალიტეტს (წალკა, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი) და მოხდება მათი აღჭურვა აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით. 2014 წელს საკონსულტაციო კომპანია COWI-ს მიერ მომზადდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა. 2016 წელს მიმდინარეობდა პროექტის განხორციელების ხელშეწყობის სერვისებისა და კორპორაციული განვითარების, დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერის პროგრამის განმახორციელებელი კონსულტანტების შერჩევის

	პროცედურები. პროექტის დიზაინის მომზადების შემდეგ დაიწყება სამშენებლო სამუშაოები. პროექტის დასრულება დაგეგმილია 2018 წელს.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროექტის კონცეპტუალური დიზაინის შემუშავება და გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტის მომზადება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობა.

**საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (გრანტი) (EBRD)**

პროექტის პროგრამული კოდი	25 05 04 01
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 05 - მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანებისა და კონტეინერების შეძენა. ასევე, მყარი ნარჩენების კუთხით, ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა ბენეფიციარების შესაძლებლობების განვითარებისათვის და მყარი ნარჩენების სანიტარული დამუშავების თაობაზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანებისა და მყარი ნარჩენების კონტეინერების შეძენა.
დეტალური ინფორმაცია	146 კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანებისა და 7,195 მყარი ნარჩენების კონტეინერების შეძენა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს მუნიციპალიტეტებში მყარი ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება.

**საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD)**

პროექტის პროგრამული კოდი	25 05 04 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 05 - მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანებისა და კონტეინერების შეძენა, ასევე მყარი ნარჩენების კუთხით, ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა ბენეფიციარების შესაძლებლობების განვითარებისათვის და მყარი ნარჩენების სანიტარული დამუშავების თაობაზე საზოგადოებრივი

	ცნობიერების ამაღლება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანებისა და მყარი ნარჩენების კონტეინერების შექმნა.
დეტალური ინფორმაცია	146 კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანებისა და 7,195 მყარი ნარჩენების კონტეინერების შექმნა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს მუნიციპალიტეტებში მყარი ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება.

**პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**

პროექტის პროგრამული კოდი	27 01 03
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	27 01 - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით: ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში ახალი დაწესებულების მშენებლობის გაგრძელება; ახალი არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სპეციალიზირებული და ახალგაზრდა (18-21 წელი) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შერეული რისკის პენიტენციური დაწესებულების მშენებლობის დაწყება; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არსებულ პენიტენციურ დაწესებულებებში სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება; ცალკეული დაწესებულებების შესამაბამისი მანქანა-დანადგარებითა და ინვენტარით აღჭურვა;</p> <p>სახელობო, პროფესიული, საგანმანათლებლო და სარეკრეაციო კურსებისა და პროგრამებისათვის აუცილებელი სატრენინგო ოთახების შექმნა.</p> <p>ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში შესრულდება ახალი პენიტენციური დაწესებულების მთლიანი შენობის სამშენებლო სამუშაოების 90%.</p> <p>შესრულდება ახალი არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სპეციალიზირებული და ახალგაზრდა (18-21 წელი) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შერეული რისკის პენიტენციური დაწესებულების მშენებლობის 5%</p> <p>მიმდინარე საჭიროებების მიხედვით შესრულდება სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები პენიტენციურ დაწესებულებებში;</p> <p>ცალკეულ დაწესებულებებს განუახლდება მანქანა-დანადგარები;</p>



	შეიქმნება სატრენინგო ოთახები სახელობო-პროფესიული, საგანმანათლებლო და სარეკრეაციო პროგრამებისა და კურსებისათვის.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის განახლებით საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესება ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბებისათვის შექმნილი ახალი, რეკონსტრუქცია ჩატარებული და გარემონტებული დაწესებულებები, საზოგადოებრივი მისაღებებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების წარმოებისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურა;  ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სრულყოფილი საცხოვრებელი და ყოფითი პირობები.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	
პროექტის პროგრამული კოდი	32 07 01 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	32 07 - საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;  საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა შესაბამისი კომპიუტერული აღჭურვის უზრუნველყოფით.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	
პროექტის პროგრამული კოდი	32 07 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	32 07 - საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარიტა და ტექნიკით აღჭურვა; საჯარო სკოლებში წინა წლებში დამონტაჟებული გათბობის სისტემების მდგომარეობის მონიტორინგი და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა; გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი კოლეჯების მშენებლობა და რეაბილიტაცია; უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების სხვადასხვა სახის ინვენტარიტა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება;

**თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგო ეფექტურობის გაზრდის პროექტი (CEB, E5P)**

პროექტის პროგრამული კოდი	32 09
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	32 09 - თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგო ეფექტურობის გაზრდის პროექტი (CEB, E5P)
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	თბილისის 25 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის და ენერგოეფექტურობის გაზრდა
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	25 საჯარო სკოლაში კომფორტული ტემპერატურის შენარჩუნება გათბობის და ვენტილაციის (მინიმალური) 50% გამოყენების გარეშე, მაქსიმალური ჰერმეტიზაციის ხარჯზე.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში, ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის ჩამოყალიბების პროექტი (Unicredit Bank)**

პროექტის პროგრამული კოდი	32 10
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	32 10 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში, ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის ჩამოყალიბების პროექტი (Unicredit Bank)
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში არსებული ენერგეტიკის და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე, ჰიდრავლიკის და ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის (შემდგომში პროექტი) ჩამოყალიბება
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ლაბორატორიის საერთო ფართი 4000 კვ.მ -ზე მეტი იქნება და იგი აღიჭურვება უახლესი ტექნოლოგიებით და აპარატურით, რაც იძლევა საშუალებას შესწავლილ იქნეს ენერგეტიკულ, ინფრასტრუქტურულ და სოფლის მეურნეობის პროექტებთან დაკავშირებული, მთელი რიგი საინჟინრო საკითხები.

**კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ქვეპროგრამა**

პროექტის პროგრამული კოდი	33 04 02 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	33 04 - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების (ისტორიული დასახლებებისა და ქალაქების), კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და რეაბილიტაცია; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაცია და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება; ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლების რეაბილიტაცია, რომელთა შორისაა მსოფლიო მემკვიდრეობის და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები.
დეტალური ინფორმაცია	<p>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაცია, კერძოდ: გაგრძელდება სვანური კოშკების და მაჩუბების, ატენის სიონის, თბილისში მეტეხის ეკლესიის, ანჩისხატის ეკლესიის, თისელის რეაბილიტაცია და ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის რეაბილიტაციის I ეტაპი.</p> <p>აგრეთვე, დოდორქის ახლადგამოვლენილი ეკლესიის მოხატულობის კონსერვაცია, დოლოჭოპის კონსერვაცია, გეგუთის სასახლის არქეოლოგია და გამოვლენილი ნაშთების კონსერვაცია, არმაზის ხევის პიტიახშთა რეზიდენციის არქეოლოგია და მოწესრიგება-კონსერვაცია, ხვამლის არქეოლოგია, ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მულტიდისციპლინარული კომპლექსური კვლევები, ბაგინეთის არქეოლოგია და არქეოლოგიური ნაშთების კონსერვაცია, მცირე ჯვრის ქვის კონსერვაციის II ეტაპი, გრაკლიანი გორის არქეოლოგია, მსხალგორის არქეოლოგია, დიდნაურის არქეოლოგია.</p>

	<p>დაიწყება სოფელი საბუე ინწობის (ფიქალების) სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება;</p> <p>ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლების რეაბილიტაცია, რომელთა შორისაა მსოფლიო მემკვიდრეობისა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა

**სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა**

პროექტის პროგრამული კოდი	35 04
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
